# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.— ხუთშაბათი, 4 მაისი 1900 წ. № 1114

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.
ტელეფონი № 372.



## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
|---|---|
| გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში. | გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც. |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან

წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი

| | |
|---|---|
| ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა. | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.
თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.
ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.



ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს

## სამს პრემიას—150 მ., 100 მ., 75 მ.,

დასაჯილდოვებლად ქართული ორიგინალური დრამატიული ნაწარმოებისა. პრემიის პირობებია შემდეგი:

1) საპრემიოთ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალური, სცენაზე დაუდგმელი, დაუბეჭდავი და შეიცავდეს არა-ნაკლებ 4 მოქმედებისა.

**შენიშვნა: პრემია შეიძლება მიეცეს სამ მოქმედებიან პიესასაც მისი განსაკუთრებით სალიტერატურო და სასცენო ღირსებისა გამო.**

2) დრამატ. საზოგ. გამგეობის სახელზე უნდა გამოიგზავნოს პიესა რაიმე დევიზის წარწერით და დახურულ. კონვერტი, რომელშიც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი. კონვერტი გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა პიესა ცნობილ იქნება ჯილდოს ღირსად.

3) ვადა პიესის გამოგზავნისა დანიშნულია არა უგვიანეს პირველი სექტემბრის, 1900 წ.

4) პრემია მიეცემა მთლად ერთიანად ან და მხოლოდ ერთი ნაწილი.

5) «საზოგადოების» გამგეობას აქვს უპირატესი უფლება,—დაჯილდოვებული პიესა დადგას თავის თეატრში ორი წლის განმავლობაში დღიდან პრემიის მიცემისა; ავტორს არა აქვს უფლება პირველ წარმოდგენამდე სხვას ვისმეს მისცეს წარმოდგენის უფლება, ხოლო ტფილისში პირველ ორ წელიწადს პიესას ვერავინ ვერ წარმოადგენს გამგეობის ნება-დაურთველად.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს ჰონორარად მიეცემა თითო დადგმაზე მთელი შემოსავლის 5 პროცენტი.

**შენიშვნა: სამ-მოქმედებიან პიესის ავტორს მიეცემა შემოსავლის 3 პროცენტი.**

6) შემდეგი პიესების კონკურსისა გამოცხადდება გაზეთებში.

ნ. (10—1)


## ახალი ამბავი

✦ გუშინ, საღამოს, მოხდა უკანასკნელი სხდომა **ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრებისა.** სხდომაზე მოხდა არჩევნები დამფასებელ კომისიის წევრისა, ნაცვლად ნ. ა. თუმანიშვილისა, რომელმაც ვადის დასრულებამდე დაანება თავი სამსახურს, კენჭი იყარეს: დ. ა. ფავლენიშვილმა, ნ. მ. ჯორჯაძემ და ანდრონიკაშვილმა. არჩეულ იქმნა დ. ა. ფავლენიშვილი.

✦ ქუთაისიდან გვწერენ, რომ 29 აპრილს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს გამოუცხადებია სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარის ბ. ლოლუასათვის, რომ ფინანსთა სამინისტროს ბრძანებით ბანკის რწმუნებულთა კრება არ უნდა მოხდეს, სანამ ამის შესახებ განსაკუთრებული განკარგულება არ მოუვა ბანკს სამინისტროდანაო. კრება დაინიშნება მხოლოდ მაშინ, როდესაც რევიზიის მასალა განიხილება.

✦ 6 მაისს შესრულდება 100 წელიწადი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა **რუსეთის გამოჩენილი გმირი-სარდალი**, გენერალისსიმუსი თავ. სუვოროვი. მის სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება პანაშვიდი ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში ხვალ, 5 მაისს.

✦ **ბათუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა კრება.** ბათუმიდან შემდეგს წერილსა გვწერენ: „როგორც მკითხველებმა უწყიან, 26 მარტს ბათუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა კრება არ შესდგა, რადგან კრების დროს ზოგიერთმა ვაჟბატონებმა, ნაცვლად საქმის გაკეთებისა, წევრებს ჯოხებით დაუწყეს თავის „კეთება“... იმ კრების მაგივრად 30 აპრილს მოხდა კრება. ეს კრება დიდად განირჩეოდა პირველ კრებისაგან: რამდენად პირველ კრებაზე იყო წესიერება დარღვეული, იმდენად გამეფებული იყო იგივე წესიერება 30 აპრილს. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ საზოგადოების დირექტორმა ბ-ნმა პარუნზეგოვმა, რომელიც იმავე დროს ბუჰგალტერიც იყო და რომელიც ისე გულ-მოდგინედ სცდილობდა არჩეული ყოფილიყო ხელმეორედ, კრებამდევე სამსახურიდან გამოსვლის ქაღალდი შემოიტანა. რაკი ის გაეიდა, დას-დასობაც ცოტაოდნად მოისპო.

კრებაზე მონაწილეობას იღებდა 247 წევრი.

საზოგადოების საბჭოს თავჯდომარემ, ბ-ნმა გრ. ვოლსკიმ, კრებას მოახსენა: „კრების თავმჯდომარე აირჩიეთო“. უმრავლესობამ ვოლსკი დაასახელა თავმჯდომარედ. ორმა-სამმა კაცმა სხვებიც დაასახელეს. დასახელებულ იქნა აგრეთვე აქაური გაზეთის რედაქტორი პალმი. მაგრამ გარდა ვოლსკისა და პალმისა, სხვებმა უარი განაცხადეს ყუთის დადგმაზე. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ვოლსკი, ხოლო პალმი გაიშავეს. ბ-ნმა ვოლსკიმ დამსწრე საზოგადოებას მოახსენა: რადგან ყოფილმა დირექტორმა ბ-ნმა პარუნზეგოვმა სამსახურს თავი დაანება, იმის მაგივრად ბანკის საბჭოს წევრები და გამგეობა, ჩვენის მხრით, ვურჩევთ პატივცემულს საზოგადოებას დირექტორად აირჩიოს ისეთი სასარგებლო და საქმის მცოდნე კაცი, როგორიც ბრძანდება ბ-ნი ალ. ნანეიშვილი. თუ სხვა კანდიდატიცა გყავთ ვისმე, დაასახელეთ და კენჭი ვუყაროთო. მაგრამ სხვა კანდიდატი არავინ არ დაასახელეს. ბოლოს წამოდგა პალმი და დაცინვის კილოთი იკითხა: „ეს ნანეიშვილი ვინა ბრძანდება, ან რა მოხელე კაციაო“? ბანკის თავმჯდომარემ ბ-ნმა შპოლიანსკიმ მოახსენა საზოგადოებას, რომ ბ-ნი ალ. ნანეიშვილი ერთი პატიოსანი ქართველი მოღვაწეა, ქუთაისის ბანკში დამფასებლად იყო, ამ ჟამად კი ჰიათურის შავი-ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს მდივანია და ცნობილი მწერალიაო. უყარეს კენჭი ბ-ნს ალ. ნანეიშვილს და ამოუვიდა 187 თეთრი და 59 შავი.

იმავე კრებაზე უნდა აერჩიათ სამი წევრი საბჭოსი. ყუთი დაუდგეს ლ. ქიქოძეს, ლ. ელიავას, ი. ლომინაძეს და ნ. საბაევს.

ამორჩეულ იქმნენ: ბ.ბ-ნი ლომინაძე (145 თ. 43 შავი), ქიქოძე (126 თეთ. 63 შავი) და საბაევი (121 თეთრი და 69 შ.); სარევიზიო კომისიაში ბ.ბ-ნნი იასონ საბახტარაშვილი, რადულოვიჩი და ი. კანდელაკი.

✦ უმაღლეს სასულიერო უწყებას განუზრახავს დააარსოს **სასულიერო სემინარიების მოსწავლეთათვის** საერთო სადგომები. იმ ეპარქიებს, რომელთაც თავის ხარჯით არ შეეძლებათ ამგვარ სადგომების გახსნა, უწმ. სინოდი დაეხმარება.

✦ ტფილისის **უმცროს ნოტარიუსის** ადგილს, რომელიც განთავისუფლდა ა. ი. პოლტორაცკის სიკვდილის შემდეგ, თხოულობს 8 კაცი, მათ შორის ოთხი ქართველია: ტფ. მომრიგებელი მოსამართლე ი. ი. წინამძღვარიშვილი, ლეჩხუმის მომრიგებელი მოსამართლე ბ-ნი მღვდლიშვილი, ტფ. საოლქო სასამართლოს ბრალმდებლის თანაშემწე ბ-ნი ტარსაიძე და ნაფიცი ვექილი აბაზაძე; დანარჩენი ოთხი რუსია. ყველამ ეგზამენები დაიჭირა 30 აპრილს. ადგილზე დანიშვნა დამოკიდებულია ტფ. სამოსამართლო პალატის უფროს თავმჯდომარისაგან.

✦ ქართველთა შორის სტამბების საქმე დღითი-დღე წარმატებას ეძლევა. ეს წარმატება იმერთ უფრო ემჩნევათ. მაგალითად: ქუთაის გარეშე პირველად ოზურგეთში გაიხსნა პატარა სტამბა და იქ ქართული წიგნების ბეჭდვაც დაიწყეს, შემდეგ ახალ-სენაკში, ფოთში, ზუგდიდში. და ეხლა ცნობა მოგვივიდა, რომ დაბა ზესტაფონშიაც გაუხსნიათ სტამბა.

სასიამოვნოა ამ საქმის მოხერხება მით უფრო, რომ სტამბის გამხსნელთ აზრად აქვსთ ამხანაგობის „გლეხის“ გამოცემანი ამ სტამბაში ბეჭდონ, რისთვისაც მათ საკმარისი ასოებიც შეუძენიათ და ყოველნაირის სისრულითაც მოუწყვიათ. სტამბა ეკუთვნის მიხეილ გაჩეჩილაძეს და მის ამხანაგობას. მ. გაჩეჩილაძეს ზესტაფონში ეს რამდენიმე წელიწადია წიგნის მაღაზიაცა აქვს.

✦ სამიწად-მოქმედო სამინისტროში აღუძრავთ კითხვა იმის შესახებ, რომ გაფართოვებულ იქმნას პროგრამმა სპეციალურ სამეურნეო საგნებისა **ქუთაისას სამეურნეო სკოლაში.** განზრახულია უმთავრესი ყურადღება მიაქციონ ძვირფას მცენარეთა მოვლა-მოშენების სწავლებას.

✦ კვირას, 7 მაისს, „ტფილისის სობრანიეს“ საზაფხულო სადგომში გაიმართება **საერნობა** ბაზრით, ბავშვთა სათამაშოებით და სხვ. ტფ. ლიუტერანთა საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ როგორც გაზ. „კავკაზი“ სწერს, ვ. ა. გერცენშტეინს განუზრახავს დაიწყოს რუსულს ენაზე გამოცემა კრებულებისა „**Кавказская библіотека**“-სი. გამოცემაში დაიბეჭდება **ქართველ და სომეხ მწერალთა** საუკეთესო ბელეტრისტული **და** პოეტური **ნაწარმოებნი.** გამოცემა სხვა-და-სხვა დროს გამოვა და შეიცავს 1-დან $1^1/_2$ თაბახამდე, რომელშიაც შეძლებისა და გვარად იქნება თითო სრულიად დამთავრებული ნაწარმოები მაინც ავტორის სურათითა და ბიბლიოგრაფიულ შენიშვნით. ქართველ მწერალთა ნაწარმოების არჩევა და მათი რუსულ თარგმანის რედაქცია ბ-ნს გ. თ. ყიფშიძეს უკისრნია. თითოეული წიგნი 15-დან 20 კაპ. ეღირება. პირველი წიგნი მიმდინარე წლის სექტემბრამდე გამოვა.

✦ მაისის უკანასკნელ რიცხვებში მოხდება კურთხევა **ქუთაისის საოლქო სასამართლოს** ახლად აშენებული სახლისა. ხსენებული სასამართლო უკვე გადასულა 1 მაისს ახალს შენობაში.

✦ რუსეთის **მეფუტკრეობის საზოგადოებას** განუზრახავს მოახდინოს მერმის სრულიად რუსეთის კრება მეფუტკრეთა.

✦ 1899 წლის განმავლობაში ტფილისის საბაღოსნო სკოლაში სწავლობდა 71 ყმაწვილი; სკოლის ხარჯი იყო 23,728 მან. 5 კაპ. იმავე წლის განმავლობაში ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში ირიცხებოდა 75 ყმაწვილი; სკოლის ხარჯი იყო 16,747 მან. 69 კაპ. საქარის სანერგესთან არსებულ პრაქტიკანტთა სკოლაში 1899 წელს იყო 20 მოწაფე; სკოლაზე დაიხარჯა 1440 მანეთი.

✦ ამ მოკლე ხანში კავკასიაში ჩამოვა გერმანიის მთავრობის მიერ გამოგზავნილი მსწავლული ბორხარდი კავკასიაში მეურნეობის შესასწავლად.

✦ ართვინის ზეთის ხილის სანერგის გამგეს თანაშემწეთ დაინიშნა ბ-ნი ბაღბუშკო, რომელსაც სწავლა დაუმთავრებია **ჯერ** ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში **და** შემდეგ განუგრძელებია წასვლა გერმანიაში.

✦ 10 მაისს დანიშნულია საზოგადო **კრება კავკასიის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთა.** განსახილველი საგნები: ანგარიში საზოგადოების 1899 წლის მოქმედებისა, განაწილება მოგებისა და რამდენიმე წვრილმანი საქმე. კრება მოხდება „ტფ. კრუჟოკის“ დარბაზში.

✦ ჩვენ მოგვივიდა **ახალი ქართული წიგნი** შემდეგის სათაურით: „მარიამ სტუარტი და ელისაბედ ტუდორი. ტრაგედია შედგენილი (?) გუქიტიშვილის მიერ“. წიგნი ფოთშია დაბეჭდილ-გამოცემული. შეიცავს 324 გვერდს, ღირს 1 მანეთად.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**2 მაისი.**

**ბუდა პეშტი.** სლამის სიტყვის პასუხად გოლუხოვსკიმ შემდეგი სთქვა: „სლამის ნათქვამი არ ეთანხმება ფაქტებს. სლამა ამბობს, ვითომ გარეშე საქმეთა მინისტრი ერევა ავსტრიის შინაურ საქმეებში. მინისტრს არა ერთხელ უარუყვია ეს ბრალთება, მაგრამ მას კიდევ იმეორებენ. ეს გვაგონებს რუსულ ანდაზას: „მღვდელი თავისას ამბობს და ეშმაკი მაინც თავისას გაიძახისო“. სლამა ამბობს, რომ მის თანამემამულეთა და მინისტრის შუა ბრძოლა არსებობს, მაგრამ ბრძოლისთვის საჭიროა ორი მებრძოლი მხარე იყოს, ხოლო მინისტრს არაფერი არ მოუმოქმედნია ისეთი, რასაც შეუძლიან ვნება მოუტანოს ჩეხელებს. სლამა შიშობს, რომ ავსტრ-უნგრეთის დაახლოვებამ მოკავშირე სახელმწიფოებთან არ აგვაცდინოს შუა გზასა, არ გააფუჭოს დამოკიდებულება სხვა მეზობელ სახელმწიფოებთანაო. სლამას, როგორც სჩანს, ყურადღება არ მიუქცევია იმპერატორის სიტყვისთვისაო და მინისტრის განმარტებისთვისო. მათში გარკვევით არის ნათქვამი, რომ გერმანიასთან და იტალიასთან კავშირს სასიამოვნოდ ემატება რუსეთთანაც და სხვა სახელმწიფოებთანაც კარგი განწყობილება. სლამა ამბობს, რომ სერბიაში და ბულგარიაში აღარ არიან ეხლა ავსტრიის მოტრფიალენიო. თუ ის ფიქრობს, რომ ავსტრიის პოლიტიკის საგანს უნდა შეადგენდეს იმგვარ პარტიების შექმნა, რომელნიც სერბიაში და ბულგარიაში ავსტრიის ინტერესებისთვის მუშაობდნენ, იმ შემთხვევაში მინისტრმა უნდა აღიაროს, რომ რუსეთთან შეთანხმების ძალით ავსტრ-უნგრეთს არ შეუძლიან ჩაერიოს ბალკანეთის სახელმწიფოების შინაურ საქმეებში. ამით შეიძლება შეტაკებათა აცდენა.

**ეკატერინოსლავი.** დამტკიცებულ იქმნა წესდება საკომერციო სასწავლებლისა.

**ვინდავა.** კუნძულ ეზელიდან მომავალი გემი „იოჰანეს“ დაიღუპა. გემზე 29 კაცი იყო.

**კონსტანტინეპოლი.** პრინცესსა პარიამის გაჰხოვებისა გამო სულთანმა მილოცვის დეპეშა გაუგზავნა საპერძნეთის მეფეს. მეფემ გულითადი მადლობა გადაუხადა.

**ლონდონი.** ბულლერი დეპეშით იტყობინება კემპსფერმიდან: „ჩვენ ავიღეთ დენდი, 2500 ბური გლენკოს წავიდა“.

**კრონშტადტი.** ბურები მაგრდებიან მთელის თავისის ჯარებით მდ. ვაალის ნაპირას; მტერმა თავი დაანება პოზიციებს ბიგგერის მთებში სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარზე. კრონშტადტამდე რკინის გზა შეკეთებულ იქნება ხუთშაბათამდის. სურსათი საკმაო აქეთ ინგლისის ჯარებს, სანიტარული მდგომარეობაც გვარიანია.

**კაპშტადტი.** ოფიციალურად არ გამართლდა ხმა, ვითომც ინგლისის ჯარი, რომელიც მეფკინგის განთავისუფლებისათვის იქმნა გაგზავნილი, ფრეიბურგს მივიდაო. გემების აქაურ მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა. და თხოულობენ სამუშაო ფასის მომატებას.

**მელბურნი.** ბრისბანში კიდევ გახდა ავად შავი ჭირით ოთხი კაცი. სულსიდნეიში ავად იყო 227 კაცი, რომელთაგან 74 გარდაიცვალა.

**პეკინი.** კომისარებს, რომელნიც დანიშნა ჩინეთის მთავრობამ სადამოჟნო ტარიფის გადასასინჯავად, გაუთავებიათ მუშაობა. მათის აზრით, იმ საქონელს, რომელიც ჩინეთიდან გააქვთ, უნდა გადახდეს 5% საქონლის საღირალისა, ხოლო იმ საქონელს, რომელიც ჩინეთში შემოაქვთ, უნდა გადახდეს 15% საღირალისა.

**კონსტანტინეპოლი.** მინისტრთა საბჭოს თათბირი ჰქონდა საფრანგეთის რკინის გზის პროექტის შესახებ სირიაში. პროექტი წარედგინა დასამტკიცებლად სულთანს.

**პარიზი.** საღამოს ელისეს მინდვრებში აფეთქება მოხდა. პოლიცია ამბობს, რომ აფეთქება მოხდა პიკრიტისაგან, რომელიც ეტლის ბორბლის ქვეშ დავარდა. უბედურება არაფერი მომხდარა.

გამოფენის ელექტრონულ განყოფილებაში ცეცხლი გაჩნდა, რომელიც მალე იქმნა ჩაქრობილი.

### 3 მაისს

**ლისსაბონი.** ხმებია, ვითომც კრიუგერს წინადადება მიუცია პორტუგალიის კონსულისთვის დასტოვას ტრანსვაალის ტერრიტორია.

**სტოკჰოლმი.** რიკსტაგი დაიხურა.

**ნიუ-იორკი.** აქ მოვიდნენ გემით ბურების მისსიის წევრები.

**სოფია.** მთელს ბოლგარეთში ჰსუფევს მშვიდობიანობა და წესიერება.

**კრონშტადტი.** ბადენ-პაუელი იტყობინება, რომ მეფკინგში სრული მშვიდობიანობა ჰსუფევს. ციება ჰქრება. გარნიზონი მამაცად არის. სანოვაგე სამყოფია 10 ივნისამდის.

**ლორენცო-მარკეზი.** ბურებმა დაიჭირეს კაფრების ადგილები მეფკინგის ახლო, მაგრამ მათ თავს დაეცნენ და მოიმწყვდიეს. ბურებს მოუკლეს 7, დაუჭრეს 19. ინგლისელების დანაკლისი სამძიმოა.

**ლონდონი.** პალატა. ბროდრიკმა გამოაცხადა რომ მთავრობას არ მოსვლია ნამდვილი ცნობები იმის შესახებ, თუ ჩინეთის მთავრობამ ნება დართო რუსეთს ბაიკლიდან კიახტაზედ პეკინში რკინის გზის გაყვანაზედ.

**ბელგრადი.** ტაუშანოვიჩი საპყრობილედან საავადმყოფოში გადაიყვანეს.

**ვაშინგტონი.** კაბინეტმა, იქონია რა სჯა-ბაასი ბურების დელეგაციის მიღების შესახებ, გარდასწყვიტა მიიღოს იგი დიპლომატიურ წესისამებრ. თუ აღმოჩნდა, რომ დელეგაციას აქვს გარდასაცემად თვისი მთავრობისაგან წარმოგზავნილი გრამოტა, ამის აღსასრულებად დელეგაციას ექნება შემთხვევა, მაგრამ, რადგანაც რამოდენადაც კაბინეთმა იცის, რომ დელეგაცია შორის დიპლომატიური წოდების არავინ არის, საქმე ადვილდება.

**ნიუ-იორკი.** ბურების მისაღებად შემდეგი კომიტეტის ცხრა წევრი გაემგზავრა მისიის მისაგებებლად. უაიტი ადრევე მოვიდა გემზედ, რათა შეეტყობინებინა მისიისთვის საქმეთა ვითარება და დაჰპირდა თავის მხრით დახმარებას.

**რომი.** დეპუტატთა პალატაში მომხდარ არეულობის გამო, რომელიც მოახდინა უკიდურეს მემარცხენეთა პარტიამ ნიშნად თავის უკმაყოფილებისა შინაურ საქმეთა წესდების ზოგიერთ ადგილების შეცვლისთვის, დათხოვნილ იქმნება პალატა. დანიშნულ იქმნება ახალი არჩევნები.

**ლონდონი.** ბულლერი იტყობინება, თუ როგორ იმგზავრა მისმა ჯარმა ბიგგერის მთებში. მისი ჯარი დაიძრა გელპმაიარიდან, ბეტუნისა—გრეიტოუნიდან, გილიარისა—ელანდსლააგტედან. მოძრაობა გასტანა 28 აპრილიდან 1 მაისამდე. მტერმა დასტოვა შესანიშნავად გამაგრებული პოზიციები; სუსტი წინაამდეგობა გაუწია ინგლისელებს. დენდონალდმა ზურგიდან მოუარა ბურების უმთავრეს ჯარის, რიცხვით 3000 კაცს, მძლავრ პოზიციას. ამის შემდეგ ბურებმა უკან დაიწიეს და, ამბობენ, ეხლა მიემართებიან ლენგსნეკისაკენ. დენდის მადნები მინგრევ-მონგრეულია.

**ვისბადენი.** აქ მობრძანდა იმპერატორი.

**გმუნდენი.** აქ მოვიდა პრინცესსა მარიამ მაქსიმილიანეს ასული შეილითურთ.

### პეტერბურგის ბირჟა 2 მაისს.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მ ა ნ ა | თ ი | |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | $99^1/_8$ |
| 4% შინაგანი სესხი 2, 3. 4 გამოც. 1891 წ. | — | — | — |
| $4^1/_2$% შინაგაინი სესხი 1893 წ. | — | $100^3/_4$ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა. . | $98^1/_2$ | — | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 310 |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | $265^1/_4$ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა . . . . . . | — | — | 211 |
| $3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისი. . | — | — | $91^1/_2$ |
| ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | 98 | — |
| $4^1/_2$% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | $89^3/_4$ |
| ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | 102 | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 99 | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | 98 | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საოზოგადოებისა. . . . | — | 90 | — |

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

## გამოსადეგი ცნობანი

### ნ ი ხ ი

ხორცი ძროხისა 1 გ. —10 კ.
სუკი . . . . 1 » —15 კ.
» ცხვრისა . » » —11 კ.
» კამეჩისა. . » » — 5 კ.
» ღორისა. . » » — 8 კ.
» ღორის ბარკალი სალორეთი . 1 » —10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს ლის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).
პური ფქვილისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
» » II » » » $3^1/_2$ »
» » III » » » 3 »
იგივე თონისა I » » » 5 »
» » II » » » 4 »
» » III » » » $3^1/_2$ »
ლავაში ჯვ. მამ. I » » » 6 »
» » II » » » 4 »

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზალზე,

| | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შუშა რცხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ბადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი —მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0 | —9 მ. 25 კ. | № 4 | —7 » 25 » |
| № 1 | —8 » 50 » | № 5 | —7 » — » |
| № 2 | —8 » — » | № 6 | —6 » 75 » |
| № 3 | —7 » 50 » | № 7 | —6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

### საავადმყოფოები.

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რვე 230 კაპ. ღარიბთათვის რჩევა, ჩაა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) კორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდი საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის

**საფოსტო მატარებელი № 4.** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს.

05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე—დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, რე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე ს 94—ეო39 წ. საღ.

ფოთიდან მსატრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

რიონიდგან ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

ქუთაისიდგან რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

შორაპნიდან ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

ჭიათურაში მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

ჭიათურიდგან შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორეღამის—2 ს. 05 წ.

მიხაილოვიდგან სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

სურამიდგან მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

ქუთაისიდგან ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულში ჩადის 10 ს. დილისა.

ტყიბულიდგან ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ., ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.

ომნიბუსების მიმოსვლა ტფილისისა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

თბილისიდან ხუთსაჯდომიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მლეთში ღამის თევით) და ვლადიკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკასში ჩადის მეორე დღისაღამოს 5 ს. 35 წ.

ვლადიკავკასიდგან: ხუთ საჯდომიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მლეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 ს. 30 წ.


# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი საყმაწვილო სურათებიანი წიგნი ანდერსენისა:

## დედა

თარგმნილი თ. სახოკიას-მიერ.
გამოცემა
საჩინო თურქიასი
ფასი 8 კაპ.

## ისტორიული ნარკვევი

ანუ

**ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის**

შედგენილი
ალექსანდრე ჭყონიასაგან
მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის
ფასი 1 მ. 50 კაპ.
ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დახსნება და აღზრდა კრებულ პატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაზნასი | «—10 |
| ზნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| ავგენეო გოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | «—15 |
| სამზარეულო ქართული და ევროპიული საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისავე | 1—50 |
| სიბრძე ბლეკარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტე | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**

გამომც. გ. გუნია.



სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განჯის ქუჩა, № 27.